*დანართი №1*



**სსიპ კოლეჯ "აისში", პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვეტერინარია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| **თავმჯდომარე**: ქეთევან ბოტკოველი |
| **წევრები:** ირმა არსენაშვილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

*(ქ.თბილისი, 2023)*

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

**დაწესებულების სახელწოდება:** სსიპ კოლეჯი "აისი"

**ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:** საჯრო სამართლის იურიდიული პირი

**საიდენტიფიკაციო კოდი:** 227770800

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

***ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):***

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

## IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2022 წლის 19 დეკემბერს გამოცემული MES 3 22 0001622463 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ''ვეტერინარიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯ "აისის" მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2023 წლის 16 იანვარს განახორციელა ვიზიტი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კაჭრეთში, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში გასაუბრება ჩატარდა დაწესებულების დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვეტერინარია“ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 30-ით. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვეტერინარია“პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს გაზრდილი მოთხოვნა, რომლის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებას გააჩნია შესაბამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

მეთოდოლოგიით და იძლევა დამატებით 15 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვეტერიანარია“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი 2.2 -ბ კომპონენტთან მიმართებაში შეფასდა სრულ შესაბამისად.

**VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

ექსპერტების მიერ, საუკეთესო გამოცდილებად შეფასდა კოლეჯის გუნდის მუდმივი სწრაფვა განვითარებისა და პროფესიული ზრდისკენ. ასევე კურსდამთავრებულების დასაქმება პროფესიულ მასწავლებლებად და მათ განვითარებაზე ზრუნვა. აღსანიშნავია ისიც, რომ კოლეჯ „აისის“ კაჭრეთის ბაზაზე ფუნქციონირებს 300 სტუდენტზე გათვლილი კეთილმოწყობილი სტუდენტთა პანსიონი, სადაც ყველა სტუდენტს შეუძლია იცხოვროს სახელმწიფოს დაფინანსებით.

ვეტერანარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით კოლეჯს აქვს სრულყოფილი მატერიალური ბაზა.

**VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა**

რეკომენდაცია არ გაცემულა

**VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება**

არ დაფიქსირებულა

**IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

არ გაცემულა

**X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

არ გაცემულა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

*ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ვეტერინარია |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიულ კვალიფიკაცია ვეტერინარიაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0841 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | **დამტკიცება:**<br>სსიპ კოლეჯი „აისის“ დირექტორის 2019 წლის 7 ოქტომბრის N02-01-104 ბრძანება;<br>**ცვლილებები:**<br>სსიპ კოლეჯი „აისის“ დირექტორის 2020 წლის 19 თებერვლის N02-01-42 ბრძანება;<br>სსიპ კოლეჯი „აისის“ დირექტორის 2022 წლის 17 მარტის N02-01-90 ბრძანება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

| | |
|---|---|
| | სსიპ კოლეჯი „აისის“ დირექტორის 2022 წლის 15 აგვისტოს N02-01-279 ბრძანება; |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი. |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 45 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 150 |

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული შესაბამისობა | სრული შესაბამისობა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

**სტანდარტის შეფასება**

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ექსპერტთა მიერ, ვიზიტის ფარგლებში, გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი და დადგინდა რომ კოლეჯის მფლობელობაში არსებული რესურსი შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან და სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, კოლეჯის მიერ განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის.
წარმოდგენილ პროგრამას, საბჭოს გადაწყვეტილებით, ავტორიზაცია მიენიჭა 2022 წლის 23 სექტემბერს და პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრა 30 პროფესიული სტუდენტი, ხოლო განხორციელების ბოლო ვადად 2028 წლის 23 სექტემბერი (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ნომერი 982235). გამომდინარე გაზრდილი მოთხოვნიდან, დაწესებულების მიერ გაკეთდა განაცხადი აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 45 პროფესიულ სტუდენტამდე გაზრდის მიზნით, რომლის განხორციელების უზრუნველსაყოფად კოლეჯის მიერ დამატებით მოწყობილი იქნა - A გარემო 15 პროფესიული სტუდენტისთვის. საერთო ჯამში პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გამოყოფილი აქვს 2 - A გარემო, 2 - B გარემო და C გრემო. ყველა აუდიტორია აღჭურვილია შესაბამისი სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით: კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები. C გარემო - სასწავლო / პრაქტიკული აუდიტორია თეორიული და პრაქტიკულ მეცადინეობისთვის - წარმოადგენს ლაბორატორიულ კაბინეტს სადაც განთავსებულია ყველა საჭირო აღჭურვილობა. კოლეჯს აქვს კლინიკური და პრაქტიკული მოდულების სრულფასოვნად განხორციელებისათვის შესაბამისი ინვენტარით და რესურსით აღჭურვილი სასწავლო ფერმა. კოლეჯს ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ააიპ „მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის ინტერმუნიციპალურ სააგენტოსთან“; შპს „ხართან“; ვეტერინარულ კლინიკასთან შპს „New Vet“ და შპს „როქთან“. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მათ შეუძლიათ მიიღონ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

და მომსახურეობა გაუწიონ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას მოდულებისთვის: ვეტერინარი ქირურგის ასისტირება; შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი, კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა; ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია; ცხოველთა მკურნალობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ განხორციელების მიზნებისთვის როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი სასწავლო სივრცე და პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვეტერინარია“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენდა - 15 განმახორციელებელს, მათ შორის იყო 2 დარგის სპეციალისტი, თუმცა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით პროგრამას დაემატა 2 განმახორციელებელი დარგის სპეციალისტი. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომლების პარალელურად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ახორციელებენ იმავე მოდულებს და დაადგინეს, რომ განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ვეტერინარია“ - განმახორციელებლების პირად საქმეებში განთავსებული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლის, ასევე 2 ახლად აყვანილ განმახორციელებელ დარგის სპეციალისტთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მათ აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში. ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მუდმივად ზრუნავს განმახორციელებლების პროფესიულ განვითარებაზე, რისთვისაც საჭიროებისამებრ ტარდება შიდა ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „ვეტერინარია“ ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს პროფესიული მოდულების განმახორციელებელს. აღნიშნული პირი არის დარგის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი, რაც მასთან გასაუბრებითაც დადასტურდა. მას აქვს სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება და შესაბამისი მოტივაციაც უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, მას სრულად აქვს გათავისებული მისი ფუნქცია-მოვალეობები და მზად არის მონაწილეობა მიიღოს პროგრამის შემდგომ განვითარებაშიც. მისი უფლება-მოვალეობები გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში, რომელიც დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2021 წლის 31 დეკემბრის N02-01-411 ბრძანებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ექსპერტების მიერ შემოწმდა კოლეჯის ბიბლიოთეკა და დადასტურდა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „ვეტერინარია“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისთვის, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური სახით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ვიზიტის ფარგლებში სსიპ კოლეჯ აისის ვიზუალური დათვალიერება და დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. დამონტაჟებულია ლიფტი, ადაპტირებულია სველი წერტილი. ასევე, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 25-ე მუხლით ( სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები) განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები, რაც გულისხმობს საჭირო დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.
კოლეჯს შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესი, რომლის თანახმად ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. წესში დეტალურად არის გაწერილი ყველა პროცესსი.
**ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციები უზრუნველყოფს სსსმ პირების პროგრამით ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობას.**
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა**

პროგრამის ბიუჯეტის და კოლეჯის ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარია“ განხორციელების უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. კოლეჯის პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების ნაწილი. რენტაბელობის ზღვარი არის 5 პროფესიული სტუდენტი.
**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -

- 2021 წლის 12 თებერვლის N02-01-20 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (ცვლილება - 29.04.2022 N02-01-149); 6. 2021 წლის 31 დეკემბრის N02-01-411 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობები“;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვები;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების კატალოგი და საბიბლიოთეკო ჟურნალი;
- კოლეჯის ვებგვერდი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**XIV. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (არსებობის შემთხვევაში);

03.02.2023 გვერდი-18



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -